PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“ (ქ. ქობულეთი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები: თამარ ახალაძე

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 მაისის MES 6 20 00384226 ბრძანების (ცვლილება MES 4 20 00408407 2020 წლის 25 მაისი) საფუძველზე, 2020 წლის 18 ივნისს, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღაში“, ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. №154-ში, „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის **(დანართი 1)** მიხედვით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 (2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ყველა (11) მოდულს კითხულობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, თუმცა პროგრამის განხორციელების მდგრადობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, პროგრამის განხორციელებაში დამატებითი კადრების ჩართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს ამ რეკომენდაციის განხილვისას, მათ გამოხატეს მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე მოდულების განხორციელებაში ჩართონ სხვა პირებიც, მათ შორის, შესაძლებელია ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ,,მეფუტკრეობის“ პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც დამატებით გაივლიან გადამზადებას.

2.2.1 (3) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია „სურსათის უვნებლობის“ მოდული, პროფესიული მასწავლებელს გააჩნია უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება საქონელმცოდნეობაში, ამდენად, პირი შეძლებს ზემოაღნიშნული მოდულის სწავლებას, თუმცა, „სურსათის უვნებლობის“ მოდულში მოცემული საკითხების სპეციფიკიდან და სიახლიდან გამომდინარე (მაგ.სურსათის უნვებლობის სფეროში საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO), ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), სურსათის უვნებლობის პოლიტიკა საქართველოში, HACCP-ის ძირითადი პრინციპები) სასურველია, პროფესიულმა მასწავლებელმა დამატებით გაიაროს „სურსათის უვნებლობის“ სასერტიფიკატო კურსი, რომელიც მოიცავს ზემოაღნიშნულ საკითხებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, გამოითქვა მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე პროფესიული მასწავლებლის გადამზადების შესახებ, ასევე აღინიშნა, რომ კოლეჯში დასაქმებულია სხვა პირიც, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩართავენ სასწავლო კურსის განხორციელებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში/ Basic Vocational Qualification in Beekeeping
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 აპრილის 01-04/56 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. 154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Reader Pro

IX. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღის“ (შემდგომში - კოლეჯი) დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. 2020 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ,,მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას. დაწესებულება „მეფუტკრეობის“ პროგრამას ახორციელებს საგნობრივს - 2012 წლიდან, მოდულურს - 2015 წლიდან. აჭარის რეგიონისთვის პროფესია ,,მეფუტკრეობა“ ნამდვილად მნიშვნელოვანია ბუნებრივ კლიმატური პირობებიდან და მეფუტკრეობის პროდუქტების საჭიროებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე.კოლეჯს ჩატარებული აქვს კვლევა, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია- გააჩნია საკუთარი საფუტკრე მეურნეობა.

პრაქტიკული კომპინენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (3.04.2020) ააიპ ,,საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებასთან“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მეფუტკრეობა“ განხორციელების ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც გაერთიანება უზრუნველყოფს ააიპ ,,საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებაში“ გაერთიანებული მეფუტკრე-ფერმერების საკუთრებაში არსებულ საფუტკრე მეურნეობებში ქობულეთის 26 პროფესიული სტუდენტისათვის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და შეფასებისთვის ფართის გამოყოფას და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებაში შედის ,,ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია“, რომელის ბოლო წლებია აქტიურად მოღვაწეობს აჭარაში შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და ავსტრიის სააგენტოს დაფინანსებით.,,ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის “ ინიციატივით კოლეჯმა წარმოადგინა აღნიშნული პროგრამა. გავესაუბრეთ ასოციაციის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და დაგროვილი გამოცდილება გაუზიარონ პროფესიულ მასწავლებლებს, ასევე, მზად არიან ჩაერთონ სასწავლო პროცესში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეფუტკრეობასა და თაფლის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის გაფართოებას, საფუტკრე მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, გამრავალფეროვნებას, წარმოების ზრდას და კომერციალიზაციას. ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდას მეფუტკრეობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ პროცედურებს, პროცედურები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას“. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის შესაბამისადაც შემუშავებულია „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A/C - სასწავლო გარემო; B გარემო “ინფორმაციული წიგნიერება 1” მოდულისათვის.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A/C გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მატერიალური რესურსების სარეკომენდაციო ჩამონათვალთან. რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსს, პროფესიულ მოდულებში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 14.04.2020 წლის N01-04/56 ბრძანებით. პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია - კოლეჯის დირექტორი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება „ მეფუტკრეობა“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის № 628/ი ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერის N880/ნ ბრძანებით) ჩარჩო დოკუმენტი „სოფლის მეურნეობის“ იმ კვალიფიკაციასთან (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში), რომელიც არის პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემუშავების საფუძველი. პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროგრამა „მეფუტკრეობა“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის № 628/ი ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერის N880/ნ ბრძანებით) ჩარჩო დოკუმენტს „სოფლის მეურნეობას“. პროგრამა შესაბამისობაშია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებულ წესთან “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“. პროგრამის შემუშავება განხორციელებულია აღნიშნული წესისა და პროცედურების დაცვით.

პროგრამაში განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა და სწავლების მეთოდოლოგია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტი პროფესიული მოდულები. პროგრამის ხანგრძლივობაა 11 თვე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია
- დირექტორის 27.02.2020 წლის N 01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;
- დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“
- დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“
- 14.04.2020 წლის N01-04/56 ბრძანება პროგრამის „მეფუტკრეობა“ დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას „მეფუტკრეობა“ პროგრამის მიზნებისათვის აქვს A/C სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. მოდული “ინფორმაციული წიგნიერება 1“ გამოყოფილია B გარემო. ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს 26 პროფესიულ სტუდენტს.

2. დაწესებულებას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, რომლის შესაბამისადაც ხდება პროგრამის განმახორციელებლების შერჩევა. პროგრამა „მეფუტკრეობის“ განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისათვის დაწესებულებას დაცული აქვს მის მიერ განსაზღვრული წესები. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიულ მოდულებს კითხულობს თავად პროგრამის ხელმძღვანელი რომელსაც გააჩნია მეფუტკრედ მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება ასევე ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში. პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ყველა (11) მოდულს კითხულობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, თუმცა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელების მდგრადობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, პროგრამის განხორციელებაში დამატებითი კადრების ჩართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს ამ რეკომენდაციის განხილვისას, მათ გამოხატეს მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე მოდულების განხორციელებაში ჩართონ სხვა პირებიც, მათ შორის, შესაძლებელია ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ,,მეფუტკრეობის" პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც დამატებით გაივლიან გადამზადებას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია „სურსათის უვნებლობის" მოდული, პროფესიული მასწავლებელს გააჩნია უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება საქონელმცოდნეობაში, ამდენად, პირი შეძლებს ზემოაღნიშნული მოდულის სწავლებას, თუმცა, „სურსათის უვნებლობის" მოდულში მოცემული საკითხების სპეციფიკიდან და სიახლიდან გამომდინარე (მაგ.სურსათის უნვებლობის სფეროში საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO), ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), სურსათის უვნებლობის პოლიტიკა საქართველოში, HACCP-ის ძირითადი პრინციპები) სასურველია, პროფესიულმა მასწავლებელმა დამატებით გაიაროს „სურსათის უვნებლობის" სასერტიფიკატო კურსი, რომელიც მოიცავს ზემოაღნიშნულ საკითხებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, გამოითქვა მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე პროფესიული მასწავლებლის გადამზადების შესახებ, ასევე აღინიშნა, რომ კოლეჯში დასაქმებულია სხვა პირიც, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩართავენ სასწავლო კურსის განხორციელებაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, ხელმძღვანელი, რომელიც დამტკიცებულია პროგრამის დამტკიცების შესახებ ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია მეფუტკრედ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და იგი წლების განმავლობაში კოლეჯში ხელმძღვანელობდა „მეფუტკრის" პროგრამას. გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით კოლეჯის ვებ გვერდზე (https://kpc.ge/library.html), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების დირექტორის 06.03.2019 წლის N 01-04/38 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება და შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება.

7. შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 9 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით
- პროგრამის ბიუჯეტით
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ხორციელდება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ სისტემის შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“ ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ასევე პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების საშუალებას.

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის, ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები, ასევე შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფები. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხოლო მონიტორინგის ჯგუფს - დირექტორის მოადგილე. შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი თავის მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული რეგულაციის შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ინტერვიუთი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, შემუშავებულია სასწავლო გეგმა, გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმის შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, 2 ცვლაში.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს.
4. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯში არის მზაობა, რომ შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის.
5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (3.04.2020) ააიპ „საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებასთან“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მეფუტკრეობა“ განხორციელების ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის თანახმად და გასაუბრების შედეგად გაერთიანება უზრუნველყოფს ააიპ ,,საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებაში“ გაერთიანებული მეფუტკრე-ფერმერების საკუთრებაში არსებულ საფუტკრე მეურნეობებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტისათვის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და შეფასებისთვის ფართის გამოყოფას და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას.

6. სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, დაწესებულებაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, კოლეჯს ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟებს პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სტუდენტებს. კოლეჯში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, კოლეჯი მომზადებულია სასწავლო პროცესისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის“ შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო ცხრილების ფორმებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- დამსაქმებელთან ინტერვიუთი;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების“ მიხედვით. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. დამატებით კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომლების და მოქალაქეების მიერ შემოსული საჩივრების/პრეტენზიების განმხილველი მუდმივმოქმედი რომელიც განიხილავს შემოსულ საჩივრებს, მათ შორის შეფასებასთან დაკავშირებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, და ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ, შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“.

მეორე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს წარმოადგენს დასკვნის სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. კოლეჯში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. შეფასების უწყისს წარადგენს სასწავლო პროცესის სპეციალისტთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის სპეციალისტი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. პროგრამის ხელმძღვანელი (ან/და კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისგან შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში; პროგრამის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემდეგ შეფასების უწყისები და მტკიცებულებები ჩაბარდეს სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადასცემს არქივს. არქივი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; მტკიცებულებების პროფესიულ სტუდენტზე გადაცემა ან განადგურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე. აქტის შენახვის ვადა განისაზღვროს მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის შენახვის ვადა კოლეჯში განისაზღვრება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საარქივო დაწესებულებაზე გადაცემამდე ან მუდმივად.

4. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციებით;
- კითხვარების ფორმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.07.2020

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: